ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

11/06/2019

716-25-4-201906111745

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 716

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N74 დადგენილების და „მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 თებერვლის №102 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადები:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (idea.batumi.ge) მეშვეობით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების განხილვისა და შერჩევის ვადები განისაზღვროს 2019 წლის 11 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით.

ბ) მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენის ვადები განისაზღვროს 2019 წლის 15 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

2. ეთხოვოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უზრუნველყოს არაუგვიანეს 2019 წლის 14 ივნისს არაუმეტეს ათი პროექტის შერჩევა, მონაწილეობითი ბიუჯეტის პლატფორმაზე ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლელა სურმანიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მ/შ